



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი: "გაეროს ყოველ კვირა დღეს
№ 30 **ივლისი 20 1897 წ.** **№ 30**

შინაარსი: ჩემი მოგონება გ. წერეთლისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — რჩევა კორესპონდენტს, ლექსი ბ. დავითაშვილისა. — „კვალის“ კორესპონდენციები. — იპოვნელების ზოგიერთი ჩვეულებანი. — წერილები ინგლისიდან (შემდეგი) საზღვარ-გარეთელისა. — საწულებას უბანში ლექსი თ. რაზ-ვაშელისა. — ქნეკროლოგი: ვიქტორ ნიკოლოზის ქე დარჩა ფ. გოგინაშვილისა. — გავერთი (შემდეგ) ია. ივალაძისა. — ვიკრე უნიშენა ბ. კახელისა. — კვალის ფოსტა და ქალაქ-განცხადება.

„კვალის“ ბ. „ჯეჯილის“ ხელის მომწერლებს მივავაგონებთ, ვინც ფულის არ შემოიტანს 1 ივლისამდე, მათ გაზეთის გზავნა მოეცეპობათ.

ჩემი მოგონება.

მ არტის თვეში 1890 წელს ბ-ნი თ. ჩიკვაძე შემხვდა ქუთაისს და შემდეგი წინადადება მომიტა: ბათუმში არსებობა ქართველების არტელი, რომლის წესდებაც მე გადმოვიღე ნორმალურ წესდებიდან და დამტკიცაო; თუმცა არტელის სტაროსტა ს. ქუთათელთაძეაო, მაგრამ საქმის კეთება კი მე მაქვს მონაღობილი, რადგან იმას მოკლა არა აქვსო. გთხოვ, რომ წამოხვიდე ბათუმს, შენ ძალიან საჭირო ხარ არტელისთვის პირველშიო. იქნება რიგიანი დაწვობალები მიეცეთ ქართველ არტელს და ფუბატრონათო, რომ სხვა იქ მომუშავე არტელებმა არ დაჩაგრონ ჩვენებიო. მე ეუთხარი, ჯერ შენ წადი, საზოგადოებასთან მოილაპარაკე და, თუ საჭირო ვიქნება, მოვალ-მეთქი. ერთ თვეს შემდეგ მომივიდა თ. ჩიკვაძისგან მოპატრუება. წავედი ბათუმს, ენახე არტელის წევრები, ყველა გავიცანი; იმათაც სასიამოვნოთ დაურჩათ ჩემი მისელა. ჩვენ მაშინვე შევუდექით საქმესაც. იმ დროს ბათუმში მოქმედებდა ოთხი, თუ ხუთი არტელი სტეფანოპოლისა (გვმების დამცლელ-დამტვირთველებისა).

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში და გამოცემელთან. მ. ლალიძის-მიერ გამოცემული:

„ნათელა“

(ძველებური აზნაუი)

აკაკისა

შენიერ ქალაღზე. გვერდი 72, მისი ფასი 20 კაპეიკია.



ჩენილი, თავისი გემები და ავენტობა ჰყავდა; ერთი იყო დამოქნის არტელი, რომელიც მარტო დამოქნაში მუშაობდა და, რაც საბაჟო საქონელი იყო, იმას ცლიდა და ტვირთავდა გემებზე. ამ არტელის მოთვე იყო ბ. გ. შაღინაძე. ყველაზე უფრო ბევრი სამუშაო ამ არტელს ჰქონდა, თუმცა არტელის წევრათ, წესდების ძალით, მხოლოდ თვით მუშა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნამდვილათ კი სულ სხვანაირათ იყო საქმე. აქ იყო ოც-და-ხუთი წევრი — სულ ავგელა დამოქნის მოსამსახურენი, — რომელთაც საწევრო ფულები შეეტანათ და საქმის პატრონებთ გამხდარიყვნენ. თვით იმათ თუთობით ჰქონდათ ადგილი და ცლა-დატვირთვა, ხოლო მუშებს, განსაკუთრებით ოსმალეთიდან მოსულ სომხებს და თათრებს დღიურათ ქირაობდნენ. ნამდვილი მუშაკნი ესენი იყვნენ და არტელის წევრები ბატონები. იმათ დიდი შემოსავალი ჰქონდათ და წლითი წლობამდე მოგებას ურთი-ერთ შორის იყოფდნენ. მარტო გ. შაღინაძე იღებდა წელიწადში, როგორც არტელის წევრი და გამგე თას თუბანს ჯამაგარს. აქედან უნდა წარმოვიდგინათ სხვა არტელის წევრებს რა შემოსავალი ექნებოდათ. ამის გამო დამოქნაში ტყუილათაც არაიენ ჩაახდენია ჩვენ არტელს, თუმცა წესდების ძალით ეს დამოქნის დატვირთვა და ცლა-უფრო ჩვენი ქართველებს საქმე უნდა ყოფილიყო. წესდების დამტკიცებას შემდეგ მას უნდა ჩაბარებული დამოქნის მუშაობა, რადგან დამოქნის არტელი დროებით იყო; თვით კი დამოქნის უფლება არ ჰქონდა, თავისი არტელი ჰყოლებოდა. მაგრამ დამოქნის მოსამსახურეებმა პირდაპირ გამოაცხადეს, რომ ვარეშე არტელს ვერ მივანდობთ დატვირთვის საქმეს, რომ საქონელი არ დიკარგოს.

მეორე სტივადორების არტელი ჰქონდა გაწყოზილი მ. ხალი ბუთანიშვილს, რომელიც ტვირთავდა და ცლიდა იხგლისე ღვივებს, რადგან იხგლისის კაპიტნებთან გაცნობილი იყო. მესამე არტელი ჰქონდა გაწყოზილი მანთაშვეს, რომელიც შედგებოდა სულ ორმახებისგან და იმათში ქართველებს არ ებოგიებოდათ. მეოთხე არტელი საკუთრათ ჰყავდა დაქრავებული რუსულ სანაოსნო — სავაჭრო საზოგადოების ავენტს.

მეუთე არტელი ჰყავდა ახლათ დაარსებულს რუსეთის სანაოსნო საზოგადოების ავენტს.

ერთი სიტყვით, საცა არ გაიხვდელი, ყოველი კამისიონერობა და საქონლის გადამტან-გადამუშავების ავენტობის გამგე ცდილობდა საკუთრათ გაეჩინათ თავისი მუშათა არტელი, რომ დაცლა-დატვირთვის საქმიდან მსუქანი შემოსავალი თვით მიეღო. ავგელა აწებოდა, რასაკვირველია, უბრალო მუშების ჯაფას,

რომელთაც დღიურ შრომაში ნაშოვნ ლუკმას უტებდნენ, ესე იგი მათ ნაშრომს ვაროს აცლიდნენ.

ამ მდგომარეობაში ქართველ არტელს ჰქონდა მხოლოდ ერთი უპირატესობა, რომ ოფიციალური წესდება (ყენაზ) ჰქონდა დამტკიცებული, მაგრამ ისიც იმ დროს იყო მთავრობის წინაშე წარდგენილი დასამტკიცებლათ, როცა ვერ კიდევ პორტო-ფრანკო არ იყო მოშლილი. ამის გამო § 2, თუ არ ეცდები, ისეთი იყო ამ წესდებისა, რომ არავითარ უპირატესობას სხვებზე, კერძო არტელებზე ეს წესდება არ აძლევდა. მანასადამე იმ პირობებში, რომლებიც ბათუმში სუფევდნენ, გემების და ცილელ-დამტვირთველი ქართველის არტელისათვის მისი ოფიციალურათ დამტკიცებული წესდება უმეტეს შემოსავლელათ იყო გადაქცეული; არავითარი მნიშვნელობა მას, როგორც ოფიციალურათ დამტკიცებულ არტელს, არ ჰქონდა.

თუმცა ამ წესდების ძალით ქართველ არტელს ჰქონდა იმედი ადგილობრივი მთავრობის შემწეობისა სამუშაოს შოენისთვის, მაგრამ საწმუხაროთ ადგილობრივი მთავრობის წარამადგენელი უფრო მსუქან სანაოსნო და ნავთის მწარმოებელთა საზოგადოების ავენტებს მფარველობდნენ, რადგან იმათთან მეგობრობა უფრო სახიერო იყო, ვიდრე დატაკი ქართველი არტელისა. არ უნდა დავუვაროთ, რომ იმ დროს ბათუმში ადგილობრივი ადმინისტრაციის წარამადგენელი თვით ქართველი იყო და რომ მოენდომებინა და თავისიანებისთვის მფარველობა გეწიოა, კანონიც მისკენ იყო; მაგრამ ღმერთმა დაიფარა ყოველი ქართველი თავისიანი სახელმწიფო მოხელისაგან. ვანა გავიწიოა სადამე, რომ ქართველ ადმინისტრატორს ქართველებისთვის ეზარუნოს...

აი, ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როცა ბათუმის ქართველმა არტელმა მიმიზატიკა მუშაობის საშოენელათ.

თვით არტელის წევრნი იყვენ შედგენილინი მოკავკრე, მოიჯარადრე და ხელასნობის მოთავეებისაგან. არტელში იყვენ ჩვენებური აზნაური და თავადი, რომელნიც უცხო ქვეყნის კამისიონერობაში და ხე-ტყის გაყიდვაში იღებდნენ მონაწილეობას. საკუთრათ სტივადორი, ესე იგი გემის დამტვირთელ-დაცლილი მცოდნე მუშა, ერთიც არ ერია. ესენი იყვენ ავგელა ბატონები, ოსტატები, რომელთაც უნდოდათ კი შემოსავლიანი საქმე ჰქონოდათ და მასული მუშა ხაზინ ემუშაევიანათ, თვითონ კი ფული მოეკოთ. მაგრამ ოც-და-ხუთისა და ორმოცდაათი „ხაზინის“ დასაკმაყოფილებელი სამუშაო ძვირათ თუ სადამე მოიპოებოდა, განსაკუთრებით ბათუმში, სადაც ისეთი დახელოენებული ამ საქმეში კომერ-

სანტები მოქმედებდნენ, რომ, როგორც ყვეს, ისე იმათ, კაკალს ვერ გააგდებინებდა.

მე რომ ჩავედი ბათუმში არტელის წევრნი წუხდნენ, რომ ვერც ერთი გემისგან და ვერც სააგენტოსგან საქმე ვერ ვიწოდებოდა, მაშინ როდესაც ფული კი იხარჯებოდა მოსამხატვრებზე, კანტარის ქირაში და საწყობებში. ისინი ჩიოდნენ, მართალია, ბ. თ. ჩიკვაძემ კარგი საქმე გააკეთებია, სტეფანოვების წესდების დამტკიცებაში ძალიან მოაგებებარა, მაგრამ რა გამოვიდა. ეს ორი თვეა, უსაქმაოთ ვართ და ფული გვეხარჯება. იმათ უნდოდათ ბ. თ. ჩიკვაძისგან თავი დაესწათ, რადგან მას თვეში, ეკონებ, ოც თუმწამდის ჰქონდა ჯამაგირი და ამოსივადი კი არა იყო—რა; მაგრამ ამის გამხელას არტელის წევრნი ვერ ზედვდნენ, რადგან ბ. თ. ჩიკვაძის მაგარი პირობა ექრა ხელში. უნდა ვთქვა, რომ ბ. თ. ჩიკვაძემ ამ შემთხვევაში კეთილ-შობილურათ მოექცა არტელის წევრებს. იმან შეიტყო თუ არა მათი მუცლის ტყვილი, პირა-და-პირა გამოუტყდა: მომეცით ჩემი ორი თვის ჯამაგირი და გამიშვითა; თქვენ პირობას ახლავ დაგებო. არტელის წევრებმა მადლობა მოახსენეს და მაშინვე დააკმაყოფილეს. ბ. თ. ჩიკვაძეს შემდეგ დამინიშნეს მე თვეში ჯამაგირათ ასი მანეთი, ჩემი მოვალეობა იყო, არტელისთვის მეთაურობა გამეწია, ესე იგი უნდა მემოენა მათთვის სამუშაო. ეს კი იმ დროში და იმ გარემოებაში მეტათ მწელი საქმე იყო. რომელი გემების სააგენტოსთანაც არ მივედი, რომელ ქარხანაშიაც არ დავიჭირე საქმე, ჩემი წინადადებანი ქართული არტელისთვის სამუშაოს მიცემსხ სიცილიათ არ ეყოთ. ყველანი ასე მეუბნებოდნენ, სადაური სტეფანოვები არიანო თქვენი არტელის წევრები? ეგენი სულ მედუქნებები, უსაბები და ხე-ტყის მოიჯარადრები არიანო, რა იციან მაგათ სტეფანოვებისა? მაგათ უნდათ თვით გვერდზე წამოწვენ, საწყალი დლიური მუშა ამუშაონ და ფული მოიგონო. ეგრე ხომ ჩვენც ვაკეთებთ საქმეს, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. დღის წინაშე, ყოველივე ეს ცხადათ მენიშნა, მაგრამ რას ვიზამდი; მე მაინც თავი უნდა გამეწირა და საქმე არტელისთვის მეშოენა. ჩემი მეკადინეობა კიდევ მითი უფრო გაძნელდა, რომ კერძო სტეფანოვების მეთაურებმა პირი ვაქტეს არამც და-არამც ახალი არტელი საქმეზე არ მიფუშვებოთ. მე მაინც ვერ ადვილათ ვერ შევეურობი სასტიკ გარემოებას; წავედი როტმილდის კანტარაში იმის გამგებელ ზრადლოვსკისთან. თვითონ ამ კაცსაც კარგათ ეცნობოდა და ხხეხსაც. ბეგრი ბაასი და დაიძარაბა დამეჭირდა, თითქმის კვირანახევიანი მეტი ვეწვალე და ბოლოს რათიკ იქნა, ჩემი პირადი თავდებობით გა-

ვებდენივე ქართველი არტელისთვის მიეცა გემების დატვირთა თითო ფუთიანი კეროსინის ყუთებით. ქარხანაში იყო დამზადებული ორასი ათასი ყუთი. თითოეული ათასი ყუთის ჩადგმა მაგონებში თორმეტ მანეთათ ავიღე, ასე რომ არტელს ორასჯერ თორმეტი მანეთი ერგო; ამ მუშაობიდან მას რვაასი მანეთი ნაღდი მოეგება დარჩა. ამას შემდეგ ჩემივე თავდებობით ბურჯარტის გემები ავაღებინე არტელს, რომელიც ამ გემებიდან ყოველ თვეობით იღებდა ხუთას მანეთს მოგებას. ამ სახით გაიჩარხა ნელ-ნელა არტელის საქმე.

ქართველმა არტელის წევრებმა, როგორც ანგარიშის კაცებმა, რაკი დაინახეს, რომ მათი საქმე ნელ-ნელა კარგათ მიდიოდა, იფიქრეს, ამას შემდეგ ჩვენ თვითონაც წაიყვიანთ საქმესო და მეც იგივე წინადადება შემამაპარეს, როგორც ბ. თ. ჩიკვაძეს. არ ვიცი, არტელის მეთაურათ რამდენი თვე დაეყავი; მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ყოველ თვეობით არტელი მიძლევდა ას მანეთს ჯამაგირს, რომელიც არც კი მყოფნიდა, რადგან ოჯახს სხვა ქალაქში მყავდა საცხოვრებლათ. რაკი არტელს შევატყე, რომ იმას ჰსურდა თვითონ დამდგარიყო გვეყრილ გზაზე, მეც გამოვემწევილიყ. დღეს, რვა წელი შემდეგ ბათუმის ქართველი არტელის წარმომადგენლიდარ მესმის საეველურსაგეთ, რომ გ. წერეთელმა „ოქროს თულები“ ვერ დაგვადგაო. მე ასე ვფიქრობ, რომ „ოქროს თულები“, როგორც კერძო კაცმა, ისე მთელმა საზოგადოებამაც, თავისი მეკადინეობით უნდა დაიღვას, თეწარა სხვამ რაც უნდა იზრომოს და იწვადოს მკონარე საზოგადოებისათვის, მაინც ვერას გააწყოებს. მე კი ამ ბოლოს დროს, როგორც ბათუმის არტელის მაგალითმა, ისე მთელი ჩემი ცხოვრების გამოცდილებამ ერთი მწარე ჭეშმარიტება შემაგნებინა, რომ ყოველი კაცია ამაგი წყალზე ყოფილა დაწერილი.

გ. წერეთელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მორაპნის მახრის სახეგრის ნაწილისთანა მიყრუებული კუთხე, ეკონებ, ცაქვეშეთში ძვირათ თუ საღმე მოიპოვება. არც გზებო, არც სკოლები, არც წარმოება-მრეწველობა. სოაც ჭკათურის რკინის გზა ვათაელება, იქვე წყდება ყოველი ვაჭრული და აღმზიკეობითი ცხოვრების ძათი. 1895 წელს რომ დიდი ზამთარი იყო, მას აქეთ ეს კუთხე

საოკრატო დანერგა, გზები წახდენ, მდინარეებმა ხიდე-
ბი წაიღეს და ჩაფარა იგი უბედურს, უგზო-უყუკლო
მღვდლომარებაში. საქმე ისეა გაჭირებული, რომ სოფელ-
ლი სოფელთან ვეღარ მიხვლა, ერთად ერთი გაზატყეცი-
ლი იყო ცოტა რიგანი ქაათურიდან საჩხერემდის
და ისიც ამ ქაათთ ჩაქცეულია. სამი წელიწადია საჩ-
ხერის ხიდი დანერგა ყვირილსზე; ეს ხიდი აერთებდა
საჩხერის კუთხის მარცხენა მხარეს მარჯვენასთან. სა-
მი წელი მეტია, რომ ამ ხიდის უქონელობის გამო
წელიწადში ექვსი თვის განმავლობაში ყვირილის
მარცხენა მხარის ხალხი დამწყვდეულია. ამავე მდგო-
მარებაშია მთელი საჩხერის ოლქა ჯრუჭულსზე ხი-
დის უქონელობის გამო, ეთოპ ამ ცოტახანში დაიწ-
ყეს ამ ხიდის კეთება; მაგრამ როგორც მოგვხსენებთ
ლუბერნიის ინჟინერს მიხეზი არ დაელია ბუნების სი-
სასტიკისა. როგორც კი ჩაადგებს თითო-ორიოლა ქეას
ან ხიდების ბურჯებისთვის, ან ქვის ჯებირის გასა-
რავაო, სამი დღე არ გაიწიოს მას შემდეგ, რომ პირ-
ველივე შხაპუნა წვიმა წაიღებს ამ ქეებს და ინჟინე-
რი წერს ლუბერნიის მთავრობას შემდეგ მოხსენებას: ბუ-
ნების სისასტიკის გამო ხიდის მუშაობა წყალმა წაიღო
და რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი შეგვაძობიაო.
ამ სახით საერო ხაზინა ინჟინერებისგან იცარკება და
ხიდების კეთება კი შეჭირებულია.

* *

ძველიდანვე ყვირილის ხეობით ვაღიოდა დიდი
საქარაფო გზა გორის მახრამში და მთის ოსეთში
ელაღკაცქასამდის წონა-ერწოს ხეობისკენ. ამ გზას
წემო იმერეთისთვის და მთელი ქუთაისის გუბერნი-
ისთვის უწინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან
ამ გზით იყო აღმშენებლობა და ეპრობა გამართული
წემო იმერეთისა, ოსეთისა, რაქასა და გორის მახრამს
შუა. თვით ქუთაისის გუბერნიის მთავრობამ გად-
წყვიტა ამ ხეობი წლის წინათ, რომ ეს გზა ყვირი-
ლის ხეობაში გორის მახრამს ს. წონამდის კლავ გა-
კეთდეს და სოფლ. ხალხის შემწეობით გაატყეცილი
გავიდეს: საჩხერის ბოქაულმა გ. ფიცხალოურმა,
სცნო რა მიუცილებელი საქარობა ამ გზის გაკეთე-
ბისა მთელი საჩხერის კუთხისა და შორაპნის მახრამს-
თვის, მხნეთ შეუღდა შორაპნის მახრამს უფროსის
განკარგულების ასრულებას, მით უფრო რომ ამ ხე-
ობაშია შეენიერი მადნის წყლები, ფრიალ სასარკებ-
ლო მთელი ხალხისთვის. მაგრამ ამ კეთილ საქმესაც
გამოაუნდენ მტრები—„მოცე მწერლები“,—რომლე-
ბიც უპართებულო დანოსებით ხელს უშლიან გზის
გაკეთების საქმეს. იმედა, ადგილობრივი მთავრობა
ასეთ დანოსებს ყურადღებას არ მიაქცევს და ყვირი-

ლის ხეობაში გზის კეთებას საჩხერიდან მოკლებუ-
ლი წონამდის არ შეიარებებს, რადგან ეს გზა დიდი
საქაროა მოწვეულობისა და აღმშენებლობის მხრით
მთელი შორაპნის მახრამისთვის.

* *

გზათა მინისტრს მოუხმენია რა ფოთის ქალა-
ქის თავის, ნ. ნიკოლაძის, საჩივარი ამერ კავკასიის
რკინის გზის გამკეობის ურიგო განკარგულებებზე
რკინის გზის მატარებელთა მისელა-მოსვლის და სა-
ვაჭრო საქარლის ვადაზიდვა-დამოზიდვის შესახებ,
დაუდგენია, რომ ამ საგანზე მოხსენება თავიანთი მო-
საზრებით წარმოადგინონ გზათა სამინისტროს გამგე-
ობაში ქალაქის თავებმა, თავად-აზნაურობის მარ-
შლებმა და ადგილობრივი გარემოების მცოდნე კა-
ცებმა, რომ იქ მიიღონ უმჯობესნი ღონისძიებანი
რკინის გზის მატარებლების მისელა-მოსვლისა, აღმ-
შენებლობისა და მრეწველობის ასაღორძინებლათ.

* *

ამ თვის 16 ბ-ნი დანილოვიჩი გაემგზავრა კა-
ხეთს, რომ გამოიკვილოს ეკონომიური წარმოება იმ
ადგილებისა, სადაც უნდა გაიყვანონ რკინის გზა.

* *

გზათა მინისტრი ხილკოვი ყარსის რკინის გზას
რომ დაათვალიერებს, მეგრ გაემგზავრება კახეთისკენ
იმ ადგილებს და ხეობების დასათვალიერებლათ, სა-
დაც უნდა გაიყვანონ კახეთის რკინის გზა.

* *

სამეურნეო მინისტრის წარმომადგენლის მედ-
ველციის პროექტი სახაზინო გლეხების წესიერათ და-
ბინავენებაზე კავკასიაში მთავარმართებლის რჩევაში
უკვე განხილულ იქმნა და მალე წარუდგენენ თავის
მოხსენებას თვით კავკასიის მთავარ-მართებელსაც.

* *

ადგილობრივმა გაზეთებმა გაცნობეს, რომ გზა-
თა მინისტრისათვის მოურთმევიათ მოხსენებანი ქუ-
თაისის ქალაქის წარმომადგენლის ი. პ. თუმანიშვილის
და თამეჯდომარეს შავი ქვის მწარმოებელთა რჩევი-
სას ბ ნ გ. ზღანოვიანს.

* *

ბ-ნ პ. თუმანიშვილს გაუხსენებია მინისტრისა-
თვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ რკინის

გზას, რომელიც უნდა გადმოვიდეს ვლადიკავკასიიდან მამისონის ქედზე და მდინარე ჯოჯორის სათავეში, მეორე დაყვეს მდინ, რომან რაქის ხეობაში ქ. ქუთაისამდის. სხვათა შორის ბ-ნ 3. თუმანიშვილის არ დაეწევა გავხსენებია მინისტრისათვის ის გარემოება, ვით თუ მთავრობა პეტროსკიდან ბაქოზე გაყვანილი რკინის გზით დამაკაფილდეს და უფრო საქირა რკინის გზას მამისონის ქედზე ყურადღება აღარ მიაკციოსო. მაგრამ თ. ხილკოვს უთქვამს, რომ ინჟინერის რუდნიკის გამოკვლევას მამისონის ქედზე რკინის გზისას საქმაო ყურადღება აქვს მიქცეული მთავრობის მიერ და კიდევ შესრულდება მისი პროექტი მას შემდეგ, როდესაც ციმბირის რკინის გზა დასრულდება.

ჩვენ მხოლოდ ამ გარემოებას ის მოსახრება უნდა დაეფუძნებოდეს, რომ თუ მართლა ინჟინერ რუდნიკის რკინის გზის გამოკვლევა მდინ. ჯოჯორის სათავემდის მიღის, მაშინ ყველაზე უფრო მოკლე და მახერხებელი მიმართულება ამ გზას უნდა მიეცეს წონის ევლზე ერწოს ტბის ხეობაში და აქედან ერთი ტრატი ამ გზისა და შემდეგ მდინარე ყვირილის ხეობაში შორაზანამდის, რადგან თვით ყვირილი გამოადის ერწოს ტბის ხეობიდან და მეორე ტრატი ამ დიდი გზისა უნდა მიიმართოს პაწას მდინარით ლიანხზე და მივიდეს გორს. ეს მიმართულება რკინის გზისა უფრო ცოტა ხარჯსაც მოითხოვს, უფრო მოკლედ არის და ტენიკური მხრით უფრო მოხერხებულიც. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ შორაზანს დიდი მომავალი მივლინის, იმ შორაზანს, რომელსაც რომაელები და ელღინები სარაზანს უძახობდნ და საქართველოს დედა ქალაქით ირიცხებოდა. სტრაბონის აწერილობით იმდროს მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზა ამ ქალაქზე მიდიოდა. იქ იყო საქართველოს მეფის საბაჟო და მარტვა ერთი რომის ქალაქიდან გამოგზავნილ საქონლის ბაჟთ რჩებოდა ჩვენ ქვეყანაში სამასი ათასი სესტერცია, ანუ ოცი ათასი მანეთი. სხვა უტყობი ქვეყნებიდან მოსული საქონლის ბაჟები კიდევ სხვა იყო. ნათქვამია, წყალი ნარწყულსა და გზა ნაგზაურსო.

შაიქების მწარმოებელთა რჩევის თამჯდომარეებს ბ-ნ. ზდანაიჩის უთხოვნია გზათა მინისტრისათვის, რომ რკინის გზ-ს გამგებობამ ექვსი პროცენტი სიმძიმის ფასი დაველოკოს იმ მარგანეცზე, რაც ქიათურიდან გადის ფოთსა და ბათუმსო, რადგან თვით მყოფელებიც ამ ექვს პროცენტში ფასს არ გვაძლევდნო. ეს ექვსი პროცენტი შეადგენს შაიქების სინესტესო. ამას გარდა შაიქების მწარმოება დიდ შედეგ-

რობებს ითმენს იმიტო, რომ ქიათურის საწყობიდან მოკიდებული ფოთ-ბათუმამდის ექვსჯელ იცლებიან და იესებიან ვაგონებო. კარგი იქნება, რომ ან თვით ამიერკავკასიის რკინის გზას მოკლე ლერძიანი ლიანდაგი ვაველემოდეს ფოთ-ბათუმამდის, ან და ვაგონების გოგარათა ლერძები დაძქვდებოდნ ხოლმე დიდ რკინის გზის ლიანდაგზე გადასვლის დროს, რომ ქიათურის ვაგონები, შაიქებით დატვირთულნი, პირდაპირ ფოთში და ბათუმში მიდიოდნო. მინისტრი დაპირებია, მგ საგანს მალე განიხილოვთ სამინისტროშიო.

ჩვენის აზრით უფრო მოსახერხებელია და უფრო იაფათაც დადგება თვით ქიათურის რკინის გზის ლიანდაგს რომ ვაგანიერებდნ და ვაგონებსაც ამიერკავკასიის რკინის გზის ვაგონების ყალიბზე რომ გადაკეთებდნ.

გვიკვირს, ბ-ნ. ზდანაიჩის რატომ არ ვახსენებია, რომ მინისტრისთვის მოგვანებინა ქიათურის შაიქების მწარმოებელთა მწუხარება ტარიფის სიღრმის გამო. რატომ ბ-ნ. თამჯდომარეებ არ დარწმუნა მინისტრი, რომ თუ ტარიფი ქიათურის რკინის გზის არ შეამცირეს, წარმოებაც შეუძლებელი ჰდებოდა. ამას გარდა მთელი მდიდარი ყვირილის ხეობის ალებ-მიცემობა და მრწყელობა შეფერხებულია იმის გამო, რომ სხვა საქონელიც ვერ გადავიტანა ქიათურის რკინის გზით ტარიფის სიღრმის გამო და იმ მიზეზითაც, რომ ამ ხეობაში სხვა ვხატეცილი აღარ არის; მაშინ როდესაც ამ ხეობიდან ბევრი ხე-ტყის გაზიდვა იყო შესაძლებელი.

ახალ მიმოხილვის („НОВ. ОБОЗР.“) სიტყვით თვლისის ოლქის სასამართლო ამ ქამათ კრეუს ცნობებს, თუ ვინ გამოადგება ნაფიც მსაჯულებათ, ვინიცობა თვლისის გუბერნიამში რომ შემოდიონ ნაფიც მსაჯულთა სამართალიო.

იმავე ვახეთის სიტყვით კავკასიის სამოსწავლო ოლქის მხრუნველს განუზრახავს—ლუბერნატორებს მიწერილობა გაუჭაინოსო, რომ უჩემოთ ნებას ნუ მიცემთ სახალხო საკითხავენის და წავნთსაკვების გახსნისასო.

ჩვენის აზრით ეს კეთილი საქმე მომეტებულმა მხრუნველობამ და შურისთვლით ცქერამ ვითუ სულ მოაყივნოს და საქმე სათავეშივე ჩააქროს.

* *

ზეგმანისა და ქართველიშვილის შალობის ქარ-
ხანა გორის რკინისგზის სადგურის მახლობლათ დამ-
წერა, მეპატრონეებს სამოკლდ ათი ათასი მანეთი ზა-
რალი მოსკლიათ.

* *


თფილისის ოლქის სასამართლოს თამჯდომარე
თფოდ. ალექსანდრეს ძე ბიკოვი განუწყობებიათ თფი-
ლისის ლუბერნატრათ თ. შარვაშიძის მაგიერათ.

* *

ინჟინერს ჩერნეცკის და საფრანგეთის დეპუ-
ტატს კაზის წინადადება მიუტყიათ თფილისის ქალაქის
გამგებობისთვის, რომ ქალაქ თფილისს ელექტრონით
გაეანათებთ წელიწადში ოცი ათას მანეთათა.

* *

დღეს კვირას ნაძალადევის უბანში ქართული
წარმოდგენა იმართება საქველმოქმედო მიზნით.



რჩევა კორესპონდენტს.



უ ნსო, ძმაო, რომ უკვლავ-
საგან
სიმათლე იუას უგანუღა
ცმული,
შენ ნურას დასდეგ .. უკვლავს
აქებდე —
აქნები მუდამ პატარეპული...
—
თუ ამხნეგ ვისმე ნაკლს
და თუნდ ამათ
საერთო საქმეც იუას გუ-
ბული,

ნურას შენიშნე... აქეადიდე —
აქნები მუდამ პატარეპული ..

—
თუ ნსო კინმე — სულ უმართლობით
მრეკალთაგან არს ტანჯულ გეპმული,
სხვას ნურას იტყვი, თქვი: „დიმისა“ — თქო —
აქნები დიდათ პატარეპული...


—
ხოლო თუ „რჩევას“ უურს არ ათხოვებ,
ტეშმარტებით გატარებული,

და გსურს, რომ უკვლავ მოგვლენ იუას
კრიტიკის ცხრილში გატარებული —

—
მაშინ შენწმუნე, ნუღარ მოკლი,
რომ კაცთა იუო შენ სხენუელი:
ვით მავნე წყრებ აქნება მრად
უმრავლესთაგან განმეკუბული...

—
და მიტომ უკვლავს, განურწმუნებლათ,
სოტას შესის აღტარებული,
თუ რომ გსურს იუო ღირსი ქუბისა
და უკვლავსაგან პატარეპული...

ბ. დავითაშვილი.



„ცვალის“ კორესპონდენტები.

საყურადღებო



აღგ. ჟუმათი. ჟუმათის სადგურზე ოთხი სო-
ფელია მოდებული: ლესა, ჟურუყეთი, ება-
ლაური და ხაჯალია (ოზურგ. მახრა). აქაუ-
რი მცხოვრებლები დიდ გაპირებებაში არიან იმის მი-
ზებით, რომ სადგურს თავისა პირ.და-პირი ტარიფი
არა აქვს და მატარებლებით წასვლა-მოსვლა და გა-
გზავნა საქონლისა მოუხერხებელია. ამასთან თეთრ
მატარებლებიც ყოველთვის არ დგებიან აქ. 11 ამა
თვეს ამ სადგურზე მრავალი ხალხი მოგროვდა იმ
იმედით, რომ მას საშუალება ექნება პირადად მიმ-
მართოს თხოვნიტ გზათა მინისტრს, რომელიც ჩქა-
რი მატარებლით მომხანდებოდა.

—
მაგრამ იმედს გავეცროვება, — ჩვენ მხოლოდ
თელი მოგვკარით მის ბრწინეალებას: მატარებელი
შეთურებელიც გაქრა.

—
იმედია, უ. გზათამინისტრი თ. ხილკოვი, ვაი-
გებს თუ არა ჩვენ გაპირებებს, არ დატოვებს უყუ-
რადლებით სადგ. ჟუმათის ნაკლებეანებას და მოგე-
ცემს მცხოვრებლებს საშუალებას წასვლა-წამოსკლი-
სას საქონლის გაგზავნისას და ბილეთების ყიდვისას.
ეთხრეთ, რუსული გავითების რედაქციებს ეს
ჩვენი წერილი გადაბეჭდონ თავიანთ გაზეთებში.

ი. გორდელაძე.

* *

—
სოფ. სოტას (სამეგრელო). ძველ-სენაკიდან ს.
კოტანეთისკენ მიდის და ს. სოტას გვერდს ჩა-

უელის უხსოვრის დროიდან არსებული, ვერც წოდებული „თემიშარა“, ესე იგი თემის გზა, რომელზედაც ურჩები ხალხი მიმადის ყოველ დღე, ნამეტნავათ კი კვირე უქმებზე და იარმუკების დროს. რომ ნახოთ მგზავრი ამ ჯოჯოხეთის გზაზედ მამავალი სწორეთ შეგკოდება: წარმოიდგინეთ მუსლომანი შე ტალახში ამოსვრილი ადამიანის სურათი, რომელიც ტანჯვა-წვალებით ჰუნს ამ ძნელათ გასაელელს და უყურადღებოთ მიტოვებულ გზას. ჩააწეეს თუ არა სენაქთან ახლოს იქ გახლავთ ერთი ზო, სახელდობრ „ნახუბი“ და მგზავრი ამ წყლის საშუალებით სენაქში შედის, ისე, ვითომც მშრალ შონესზე ველის; ჩასაკურველია, ამას უცხო ვინმე იუქრებს და არა ისინი, რომლებმაც კარვთ უწყიან ამ გზის ავ კარვიანობა. მგზავრი გრძობს გზს სიძინელს ძველ-სენაკიდან მოკიდებული ვიღვრე ორი ვერსის მანძილამდე, შემდეგ კი რამდენიც უნდა იაროს უფი არ დაუხედლებდა, რადგანაც მთა-გორიანი ადგილებია, როგორც მ.ხსოვს 1894 წელში რამდენიმე პირებმა, სხვა-დასხვა წოდებისამ, განიხრახებს ამ გზის გაკეთება და კიდევაც მიჰმართეს ბატონ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რომ ეს სათემო გზა თქვენის განკარგულებით და ბძანებით იქმნას გაკეთებულიო. შეწყნარებულ იქნა მათი თხოვნა და ბძანებაც მიიღო ადგილობრივ მთავრობამ, რომ დაუყოვნებლივ შედგამოდენ ამ საქმის განხორციელება; გუბერნატორის ბძანების სისრულეში მოყვანას იმ დღესვე შეუდგნენ რა დღესაც მიიღეს ბძანება. ჩასაკვირველია, ამ დღემნიშვნელოვან საქმის შესრულებას მამასახლისი შეუდგა, უთუოდ ადგილობრავ ბოქაულის ბძანებით, მაგრამ მას შემდეგ, ე. ი. 1894-დან დღემდს, სამი წელიწადი სრულდება და ამ საქმის ბოლო აღარ უჩანს. ურიგო არ იქნება, რომ ეს დიდი ხნის მიეწყებული ფრიად საჭირო საქმე სისრულეში მოიყვანოს ვისიც ჯერ არ.

თ. სორტელიძე.

* *

გუგრა ხ. აგნა (ოზურგეთის მაზრა). ბეგრის არ ეკოდინება ამ სოფლის არსებობა, თუ რომელ მაზრას უნდა ეკუთვნოდეს, რადგანც ამ სოფელზე, მის ავ-კარვიანობაზე ბეგრი არა დაწერილა-რა. არც ისე უნაკლებოა ერთ აცანელები, რომ არ ესაჭირობოდნენ ჩვენს არსებობაზე ჩიოლს. აშკარაა, ჩვენ, აცანელებს, შეუხედებლობა და განუვითარებლობას ვარდა, უგზობაც არა ნაკლებ ცუდს დღეში გვაგდებს; ან ერთი და ან მეორე რომ გექონებოდა, მკვიდრი თუ ვერა გამეღელი მგზავრი მაინც დაწერდა რასმე. სკალაზე და სამკითხველოზე ამის თქმა შემძლია, რომ

გვაქვს ადამის დროისეული ერთ კლასიანი სასწავლებელი და მაინცა და მაინც არ ვიწუებთ თავს მის გაუმჯობესებაზე; სამკითხველო ხომ არ არის და არც იქნება მგონი. წარსულს ზაფხულში ცოტა სიციხსაგან შეწყუბებულმა ყმაწვილებმა დაიწყეთ მის საჭიროებაზე დაწინაურებაზე ჯადგება და ჩვენი თავ გამოადებული ქადაგების ძალა აწინაურად დაეტყო საზოგადოებას, რომ ერთმა ითხოვა სამკითხველოსთინ ნებართვა და მეორემ უჩიოა, ნება არ მისცეთ თუარა სოფელი ამოვარდებო. თეთი საზოგადოების ქადაგებლები არ არიან საყვედურის ღირსნი, რადგანც სწავლა-განათლება არ მიუღიათ და უმისითო-თი ძლიერ მშრომელი და მშვიდობიანი ხალხია; მეთაური რომ ჰყავდეთ, მგონი დიდი რამ საქმის გაკეთებაც შეიძლოა. ჩემისთანა მეორე კლასიდან გამობძინებული (გამოგდებული სწორეთ რომ ეთქვას) და ერთიც სემენარელი კი არიან, ლეთის წყალობა გაქვთ, მაგრამ, ენით სხვა ერთ და საქმით სხვა. აქ იყო ერთი ძველის ძველი ეკლესია, ოპონის მიანაშენილი წოდებულია, შესანიშნავი მხატვრობით და წარწერებით, (იხილეთ არქეოლოგ, გამოკვლ. დი. ბაქრაძისა, გვერდი 247 და 248) რომელსაც აშენებდნენ პატარა ციხის ნანგრევები სათაფურებით; როგორც ბ. ბაქრაძის აღწერა ამტკიცებს ბეგრი მხატვრობა არ იყო გამოკლებული. რომელ საუკუნეს ეკუთვნოდა ეს არ შემძლია ნამდვილთ ვთქვა, მხოლოდ სოფელითა თქმულებით კი ვითარც ერთ დღეს ავშენებობის თამარ-მეფის წირვალაცა კი მუდამ იყო და არის ახლაც, აი ეს ძვირფასი ნაშთი ჩვენი დიდებისა, რომელიც ვინ იცის რის მოწამეა მისს ხსოვნაში, ზღაღ, მღვდ. მამა ჩხაძის თაოსნობით დაანგრეს, და ახალი ააშენეს. უმოჩინოლესათ ვთხოვ, შეიღოს ზღაღ. ჩხაძისას მღვდელ ვიზიანე ჩხაიძეს, რომელსაც კარვთ ესმის ეს საქმე, როგორც იქაურ მკვიდრს და განათლებულ პირს, აცნობოს საზოგადოებას, რომელიმე ვაჭეთის საშუალებით, რამ აიძულა ისინი ამ ტაძრის დაანგრევაზე? თუ ახალი ეკლესიის აშენება უნდოდათ განა ცოტა მაღლობი ადგილი არის ჩვენში?

გ. ციმაბერდისძე.

* *

კახეთი: თელავსა და სიღნაღ შუა მდებარე სოფლებში წელს ნადრეგმა წვიმებმა სწორეთ — რომ იტყვიან — გაახლდა ჰირნახული, თუმცა იმავე წვიმამ ზოგან აენო. მაგალითად მდ. ალაზნის მახლობელ ველებზე მდებარე ყანებში მეტი წვიმისაგან გუბე იდგა, რის გამოც ჰირნახული გაყვითლდა და წახდა. ამას 17 თბათვეს მოსული სტუციისაგან ათიოდსა-

უკეთესო სოფლების მოსავლის სრულებით მოსაბაძკ, რომ მიეფუტათო, წელს შიგნით კახეთში საზოგადოთ საშუალო მოსავალი იქნება.

ამ წამათ აქეთვე გაცხარებული მოუშობაა. მალობ სოფლებიდან — დაბლა ბალ-ვენახებში, სადაც კალა საბძელი აქვსთ გაშენებული, კახელი გლეხობა ჩამოსულა და კალოებსა ლეწავენ; ზოგან კიდევ თოხნიან, მარავენ, სხლავენ და სხვა და სხვა...

ერთი სრტყით ყველგან სიცოცხლე დღის, ავერ წინანდლის, მუკუნის, ურიათ-უბნის და სხვა საუფლოსწულო ზეგები: მყობრათ, როგზე გაშენებული და გაწმენდილი, ეს თქვენ თვალს ასაიამენებს. იმავე დროს რომ შეხედეთ იქვე — ამ საუკეთესო და საზაგალითო მამულეებს, გვერდზე მდებარე ჩვენი სოფლის მამულეებს, ზემომოყვანილ მამულთან შედარებით — გაველურებული გვიჩვენებთ, ისე წარა მარათ, უწეს-რიგათ არის გაშენებული და მასთან მოუფლელი..

საუფლო-სწულო მამულში შეუტანათ ყოველ გეგრი ადგილ საშუალო იარაღები, როგზე უელთან და დროზე წამლობენ ვახს.

ჩვენი კახელი გლეხობა-კი ისევ მამა პაპეული იარაღებით ხელმძღვანელობს და აწარმოებს სეჭმეს. ზოგიერთი უეცი და კიდევ ცრუ მოარწმუნე ხალხი — ამ ბოლოს დროს ვენახის წამლობიდანაც ხელს იღებს, რადგან ამბობენ: წამლობით წმ. ზიარებაში (ღვინო-ში) წამალს ვუტრეფთ და ეს ღმერთსა წყინს იმიტომაც სეტყვას და სხვა რისხევებს გვიგზავნიან!


ტ. ჭობარდია.

იაპონელების ზოიგიერთი ჩვეულებანი.



იაპონიას სამართლიანათ ეძახიან აღმოსავლეთის ინგლისს, როგორც დიდი ბრიტანია მდებარებს ატლანტის ოკეანეში ორ კუნძულათ გაყოფილი, აგრეთვე იაპონიის ქვეყანაც შედგენს მთელ გროვას კუნძულებისას აღმოსავლეთის ოკეანეში, თუმცა ეს ქვეყანა ძველათგანვე ცნობილი იყო, როგორც უძველესი დროის ხალხი, სადაც ჩინეთისა და ინდოეთის ძველი განვითარება ზედწინებით იყო შეთვისებული, მაგრამ მას აქეთ, რაც აღმოსავლეთის ქვეყნებმა მეცნიერებისთვის მიიძინეს, იაპონიის ხალხიც ამ საღათს ძილით იყო შეპყრობილი. დიდი ხანი არ არის, რაც იაპონია გამოაუხიზლა ევროპის განვითარების ქარ-ცეცხლმა და მას აქეთ ეს ძველებული ხალხი, როგორც ფენიქსი, განახლდა მცონარებმს ფერფლიდან. საკირვლათ მალე და თავისებურაობით შეითვისა ამ ხალხმა ევროპის სწავლა-განათლება. ის არ დადგამია გადავარების გზას. ამის გულისთვის იმას არც სამშობლო ენა შეძლებია, არც სამშობლო ელფერი დაუკარგავს, არც საკუთარი ზნეჩვეულება, არც სარწმუნოება გამოუტყლია, ასე გაშინჯე, არც თავისი ძველგზური ტანისამოსი და სახის სამკაული ვადაუგვია. იგი თვითონ როდი დემოკრჩილა მონურათ ევროპის სწავლა-განათლებას, მან შეითვისა ეს სწავლა-განათლება და იარაღათ გაიხადა თავის კეთილ-მდგამარების წინაწასწევით, ხოლო რაც მისი უფარვისი და მანებელი მხარე იყო ამ განათლებაში, ის კი უარჰყო და არ მიიკარა. ასეთი თვით-ცნობიერებით ვერ ხალხს გარეშე კულტურა არ მიუღია, ამიტომაც იაპონია შეიქნა ერთ უძლიერეს სახელმწიფოთაგანათ ამ ჩვენ დროში.

ყველს გაუყვირდება, როცა შეიტყობს, რომ იაპონიის ქალაქებში ცხენებიანი ეტლები არ არის; მაგრამ მრავალია ორ თვლიანი პაწია გოგორები, თითო კაცის ჩასაჯდომათ მოწყობილები. ეს გოგორები ეტლების ნაირათ არის მოწყობილი და შიგ თითო კაცი უბია, რომელსაც თვით ეს გოგორები ეყუ-



იაპონელი მეგავგორე ანუ ჯინიარიკმა.




იაპონელი ქალები ჩაიზე.

თენიან. ეინც მოისურვებს და ფულს მისცემს, ჩაჯდება შიგ ამ გოგორებში და, საცა სურს მგზავრს, მას იქით გააქანებენ ამ სუბუქ გოგორებზე. იაპონელი მეეტლე ცხენებზე უფრო სწრაფათ მიარინინებს მგზავრს, თუგინდ ათი და ოცი ეგრისის სიშორეზედაც. ასეთ მატარებელს, რომელშიაც თითო ეაკია შებმული, იაპონიაში ეძახიან „ეინასჩისასკა“. იაპონელებს თავისი თეატრებიც აქეთ, საცა დილოდან დაწყებული სალამომდის წარმოდგენა წარმოდგენაზედ იმართება. იმათ სასტუმროებშიაც კი აქეთ თავისი გასართობები, მომღერალი და მაცეკვარი ქალები, რომელნიც მათ დამქირავენებლ სტუმრებს იქვე საქმელებსაც უმზადებენ და კიდევ შეაქცევენ.

იაპონიაში გასათხოვარ ქალებს ჩვეულებათ აქეთ უცხო ქვეყნელებზე ღრობით გათხოვდნენ. ეს გათ-

ხოვება მოხდება ხოლმე პირობის შეცვრით და ეადით. როცა ვადა გაუეთთ, რასაკვირველია, გაიყრებიან, მაგრამ უცხო ქვეყნელ ქმართან განშორებულ იაპონელი ქალი სრულებით არ ჰკარავს საზოგადოების თვალში თავის ღირსებას, თუნდ რომ შეიღებოც ჰყავდეს. ის როგორც კი დაუბრუნდება თავის მამის ოჯახს, მაშინვე იშინის საქმროს, თუ კი მას პირვანდელი ქმრისგან საქმარა მზითვეი მოუგროვებია. იაპონელებს ბევრ საზოგადო გასართობებშორის, საერო სამკითხველოებიც და წიგნთ-საცავებიც აქეთ, სადაც მრავალი მღაბიო ხალხი შედის და იძენს ყოველგვარ ცოდნას. ჩვენ ვეცდებით სხვა-და-სხვა ნახატებით გავაცნოთ ჩვენი მკითხველები მრავალ მხარეს იაპონიის საზოგადო ცხოვრებისას.



წერილები ინგლისიდან.

IV. *)

როგორც ეს იყურებს ინგლისელი.



